განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

## საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
05/10/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი:08/11/2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205304357 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ კაკაბაძე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მამუკა ქარქაშაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამა ახალია და ჯერ აკრედიტაცია არ გაუვლია. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: აღზარდოს პიროვნება, რომელსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირებასა და სპორტის მენეჯმენტის სფეროებში მუშაობის შესაბამისი კომპეტენცია ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზრებისათვის. ასევე ექნება ზოგადი განათლება, მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და სოციალური პასუხისმგებლობა. პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ბაზარზე არსებული საჭიროებების ხედვისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისად პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივი შრომითი ბაზრისათვის სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსების მომზადებაზე. მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტების (მინესოტას უნივერსიტეტი, ოკლაჰომას უნივერსიტეტი, ჩიკაგოს ლოიოლა უნივერსიტეტი, სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტის, სენტ ტომასის უნივერსიტეტი, აშშ) გამოცდილება.

საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი მოიცავს 240 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 სასწავლო წელი. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- თავისუფალი კომპონენტები - სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტები - არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 130 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი (სტაჟირება) - 10 კრედიტი.

პროგრამას განსაზღვრული აქვს მიღების წინაპირობები, რომელიც შესაბამისია მოქმედი რეგულაციების. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა/გერმანული ენა/ფრანგული ენა/რუსული ენა) და მათემატიკა ან ისტორია. ამასთან, პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ენის B2 დონის მიღწევას. სტუდენტი უფლებამოსილია ინგლისური ენის ცოდნის დონე დაადასტუროს შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის ,,ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრისა და დადასტურების წესის" შესაბამისად.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 14 აკადემიური და 14 მოწვეული პერსონალი. შესაბამისად არსებული თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის (14/14) გარკვეულწილად განაპირობებს პროგრამის მდგრადობასაც, ამასთან 14-ვე აკადემიური პერსონალის აფილირებულია სასწავლო უნივერსიტეტთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 5 ოქტომბერს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის სტუდენტებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში დაეთვალიერებინა დაწესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურა და ბიბლიოთეკა. გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ, თავის მხრივ, უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ:

- **პირველი სტანდარტი** - **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეორე სტანდარტი** - **მეტწილ შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1, 2.4 და 2.5 კომპონენტია სრულ შესაბამისობაში სტანდარტის

მოთხოვნებთან 2.2 და 2.6 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 2.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

- **მესამე სტანდარტი - შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც მოცემულ სტანდარტში 3.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, 3.2 კომპონენტი კი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არ შეფასებულა;
- **მეოთხე სტანდარტი** - **მეტწილ შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც მოცემულ სტანდარტში 4.1, 4.2 და 4.4 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.3 კომპონენტის ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მეხუთე სტანდარტი** - **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან, სადაც 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგებში ცალკეული სასწავლო კურსების მონაწილეობის ლოგიკა და გამოიკვეთოს თუ როგორ ვითარდება პროგრამის სწავლის შედეგები გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე;
2. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში დაემატოს ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო კურსი, სადაც სრულად იქნება წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტური საკითხები ან მოხდეს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება ფინანსური აღრიცხვის კურსში;
3. რეკომენდებულია მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების კორექტირება;
4. რეკომენდებულია ,,გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტში" სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულ სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს შესაბამისი პროფილური სახელმძღვანელო სპორტში ფინანსების მოზიდვის და სპონსორობის შესახებ;
5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ არ შეიკავოს თავი სასწავლო კურსების სილაბუსებში არც ქართულ ენაზე უკვე არსებული დარგობრივი ლიტერატურის გამოყენებაზე და არც დამხმარე ლიტერატურის მითითებაზე;
6. რეკომენდებულია პროექტების მართვის სილაბუსში გათვალისწინებული იქნეს პროექტების მართვის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სპეციფიკა და სტუდენტებმა შესწავლონს პროექტების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გამოყენების საფუძვლები, მაგალითად შეისწავლონ ,,Ms Project" გამოყენება;
7. რეკომენდებულია პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებში ((ბიზნეს კომუნიკაციები (Business Communication - V. Bisen, New Age Int. Publishers, 2009); სპორტის ეკონომიკა (Sports Economics (Theory, Evidence and Policy), Paul Downward, Alistair Dawson, Trudo Dejonghe, Butterworth–Heinemann publications 2009); სპორტის მარკეტინგი (Sport Marketing, 3rd edition, Bernard Mullin,

Stephen Hardy, William Sutton, Pub. Human Kinetics, 2007); სტრატეგიული მენეჯმენტი (სტრატეგიული მენეჯმენტი, ეკა ჩოხელი, გამომცემლობა უნივერსი, თბილისი 2009 წელი)) მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სრულად იქნეს მოცული სწავლის სფეროს აქტუალური მიღწევები;

8. რეკომენდებულია, შეფასების სისტემის მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში პრეზენტაციის ნაწილში გამოყენებული შეფასების ქულების რანჟირება და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება;
9. რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების მეტი დივერსიფიკაცია, მეტად მორგება კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, მაგალითად, პროექტების მართვის სასწავლო კურსში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტების წერა და დასკვნითი შეფასება განხორციელდეს შეფასების სისტემაში კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტის მონაწილეობით;
10. რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ინგლისურენოვან სავალდებულო ლიტერატურაზე ისეთი ქართულენოვანი სასწავლო მასალების მომზადება, რაც სრულფასოვნად ჩაანაცვლებს კურსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურას და აღნიშნული მასალები განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტებისათვის მისი ხელმისაწვდომობა;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია გაერთიანდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები კალკულუსი 1, 2 და ჩამოყალიბდეს 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით, რაც გამოათავისუფლებს კრედიტების მოცულობას სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში და ხელს შეუწყობს პროგრამის სტრუქტურაში პროფილური სასწავლო კურსების ოპტიმალურ განაწილებას;
2. სასურველია სასწავლო კურსის ,,სპორტის მენეჯმენტის ბიზნესის“ სახელწოდება, კურსის შინაარსის გათვალისწინებით განისაზღვროს, როგორც ,,სპორტის ბიზნესის მენეჯმენტი“;
3. სასურველია სასწავლო კურსის სახელწოდება ,,სამართალი და ბიზნეს მარეგულირებელი გარემო“ კურსის შინაარსის, მიზანის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს როგორც ,,ბიზნეს სამართალი“, რაც მეტად შეესაბამება მის შინაარს ვიდრე არსებული სახელწოდება;
4. სასურველია პროგრამის სტრუქტურაში დაემატოს ლოჯისტიკის მენეჯმენტის სასწავლო კურსი;
5. სასურველია დაზუსტდეს პრაქტიკის შეფასების დეტალები, კერძოდ დასაზუსტებელია პრაქტიკის დაცვის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის რაოდენობრივი პარამეტრები, რამდენი ადამიანი იქნება დაცვის კომისიაში, მათ შორის რამდენი უნივერსიტეტიდან და რამდენი ორგანიზაციიდან და ესევე სასურველია პრაქტიკის შეფასების ერთერთი კომპონენტში - აქტიურობა პრაქტიკაზე, რომელიც სრულდება უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე და ფასდება 40

ქულით, დაზუსტდეს იღებს თუ რა მონაწილეობას პრაქტიკის მენტორი საწარმოდან და თუ იღებს როგორია მისი მონაწილეობის მექანიზმი;

6. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააუმჯობესოს საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი;
7. სასურველია პროგრამისათვის შემუშავდეს ბიუჯეტის ცალკე ფორმა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს სრულფასოვნად შეაფასონ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის მდგომარეობა;
8. მიგვაჩნია რომ უსდ-სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის ფარგლებში სასურველია უზრუნველყონ პროგრამის აკრედიტაციაზე გაგზავნამდე პროგრამის თანმხლები დეტალების საბოლოო გადამოწმება, მათ შორის მიზანშეწონილია გადამოწმებული იქნეს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ქართულენოვანი მასალების სრულად განთავსების საკითხიც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
- **ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.**

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წერილი №1184841 ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ,,პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით სოციალური მედია მარკეტინგში და ლოჯისტიკის მენეჯმენტის სასწავლო კურსების დამატების შესახებ" ნაწილში. კერძოდ, დაწესებულებამ არგუმენტირებულად ფაქტობრივი გარემოებების მითითებით წარმოადგინა პოზიცია, რომლის მიხედვითაც სოციალური მედია მარკეტინგში საკითხებს საერთო ჯამში ეთმობა 9 ლექცია და 18 სემინარი, რაც ასახულია სხვადასხვა სასწავლო კურსების სილაბუსებში. კერძოდ, ,,სპორტის მარკეტინგის" სასწავლო კურსი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: ,,პრომოუშენი და გაყიდვები; პროდუქტის განთავსება ან დისტრიბუცია; ელექტრონული მედია; საზოგადოებასთან ურთიერთობები - მედიის გავლენა საზოგადოებასთან ურთიერთობებში სპორტში. ,,სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი" - ღონისძიების პრომოუშენი, მედიასთან ურთიერთობა და პრომოუშენი. შესაბამისად, დაკორექტირდა აღნიშნული რეკომენდაცია, რომელმაც გადაინაცვლა რჩევებში, რითაც სტანდარტის შეფასების საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა. დასკვნის პროექტში არსებული სხვა რეკომენდაციები არ შეცვლილა.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ,,აღზარდოს ისეთი პიროვნება, რომელსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირებასა და სპორტის მენეჯმენტის სფეროებში მუშაობის შესაბამისი კომპეტენცია ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზრებისათვის. ასევე ექნება ზოგადი განათლება, მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და სოციალური პასუხისმგებლობა“. პროგრამის მიზანი შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ,,სასწავლო უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს საქართველოში სამოყვარულო და პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის, სპორტის მენეჯმენტისა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში ღრმა კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადების გზით, რისთვისაც იგი, როგორც ეროვნულ, ისევე საერთაშორისო დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ახორციელებს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს და გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ხელს უწყობს სტუდენტების ჰარმონიულ განვითარებას და მათ სწრაფ ადაპტაციას შრომით ბაზარზე“. საბაკალავრო პროგრამის მიზანი პასუხობს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, სადაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოში კვლევაში მონაწილე სპორტის მენეჯერის პოზიციაზე დასაქმებული პირების 73% არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი, გარდა ამისა პროგრამის მიზნების და ზოგადად პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრისას გათვალისწინებულია უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების (ჩიკაგოს ლაიოლა უნივერსიტეტის, მინესოტას უნივერსიტეტის, ოკლაჰომას უნივერსიტეტის, სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტის, სენტ ტომას უნივერსიტეტის - აშშ) ბიზნესის სკოლების შესაბამი გამოცდილება და იზიარებს ბიზნესის ადმინისტრირებაში სპორტის მენეჯმენტისათვის დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს. ასევე, პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია როგორც საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილებით დამტკიცებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი (2014-2020 წწ.), ისე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მიერ 2013 წელს ჩატარებული |

| |
|---|
| კვლევის ,,საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში“ (2013) შედეგები, სადაც ნათლად ჩანს ასევე დარგში კვალიფიციური მენეჯმენტის სპეციალისტების დეფიციტი. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზანი ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რაც უნდა ქონდეთ სპორტის სფეროში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულ პირებს და პროგრამას თავის მიზნებიდან გამომდინარე შეუძლია წვლილი შეიტანოს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა;<br>▪ საზოგადოებრივი აზრი კვლევა სპორტთან მიმართებაში - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;<br>▪ ინტერვიუ სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის მისია: http://sportuni.ge/cate/1/ ; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას გააჩნია კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელიც აღწერს იმ კონკრეტულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას რომლებიც საჭიროა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისთვის და ამავე დროს შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან. ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებია:

კურსდამთავრებული

1. მსჯელობს მენეჯმენტის სფეროს თეორიებსა და პრინციპებზე კრიტიკული გააზრებით;
2. ახდენს ბიზნესის ადმინისტრირებასთან და მენეჯმენტთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს;
3. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით შეიმუშავებს მენეჯმენტის, მათ შორის სპორტის სფეროსთან დაკავშირებული პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს/პროექტს;
4. ამზადებს პრობლემის აღწერისა და მისი გადაჭრის გზების მითითებით შესაბამის წერილობით ანგარიშს;
5. განმარტავს თუ როგორ მოქმედებს მენეჯმენტის მიდგომები სპორტული ორგანიზაციების და სპორტის ინდუსტრიის ყველა ასპექტზე;
6. აიდენტიფიცირებს სპორტული ორგანიზაციების ამჟამინდელ პრობლემებსა და მენეჯმენტის სტრატეგიებს, რომლებიც საჭიროა სპორტული ბიზნესის გამოწვევების გადასაჭრელად;
7. აღწერს და განმარტავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებულ სიტუაციურ მაგალითებს სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით;
8. სპეციალისტებს და არასპეციალისტებს აწვდის სფეროსთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას როგორც წერილობით, თანამედროვე საშუალებების გამოყენებით, ასევე ზეპირსიტყვიერად.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ,,საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის წესი“. აღნიშნული წესის გათვალისწინებით შედგენილია და პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სადაც დაზუსტებულია საგანმანათლებლო პროგრამის რომელი კომპონენტით (სასწავლო კურსი, პრაქტიკა) მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგები. ამასთან, წარმოდგენილი

| |
|---|
| საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე ბუნდოვანია, თუ რომელი სასწავლო კურსებით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობა, პროგრამის შესავალი სასწავლო კურსები (მიკროეკონომიკის საფუძვლები, საინფორმაციო ტექნოლოგიები 1; მარკეტინგის პრინციპები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნეს ინგლისური 1; ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, მეწარმეობა, კალკულუსი 1 და ა.შ.) როგორ ახდენენ პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებას/გაღმავებას. ასევე, ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც წარმოდგენილია პროგრამის სამიზნე ნიშნულები, შეფასების მეთოდები, კონკრეტული სასწავლო კურსები სადაც ფასდება სწავლის შედეგები და დაზუსტებულია პროგრამის სწავლის შედეგების პერიოდულობა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში დაკონკრეტებულია თუ როგორ გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, თუმცა ბუნდოვანია თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის რა პრინციპით არის შერჩეული ცალკეული სასწავლო კურსი, მაგალითად პროგრამის მეორე სწავლის შედეგის ,,ახდენს ბიზნესის ადმინისტრირებასთან და მენეჯმენტთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს“ შეფასება რატომ ხდება მხოლოდ პროექტების მენეჯმენტის სასწავლო კურსის ფარგლებში, მაშინ როდესაც აღნიშნული სწავლის შედეგის განმტკიცებას სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ახდენს: საინფორმაციო ტექნოლოგიები 1,2; მარკეტინგის პრინციპები, ფინანსური აღრიცხვა, მართველობითი აღრიცხვა, მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციათა მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, სტატისტიკა ბიზნესისათვის, მეწარმეობა, სპორტის მარკეტინგი, სპორტის მენეჯმენტი და ა.შ. გამომდინარე აქედან, **რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგებში ცალკეული სასწავლო კურსების მონაწილეობის ლოგიკა და გამოიკვეთოს თუ როგორ ვითარდება პროგრამის სწავლის შედეგები გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე;** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;<br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;<br>▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>▪ **რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგებში ცალკეული სასწავლო კურსების მონაწილეობის ლოგიკა და გამოიკვეთოს თუ როგორ ვითარდება პროგრამის სწავლის შედეგები გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე.** |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული დადებითი ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე - ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური ენა / გერმანული ენა / ფრანგული ენა ან რუსული ენა) და მათემატიკა ან ისტორია. პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისური ენის B2 დონის მიღწევას. სტუდენტი უფლებამოსილია ინგლისური ენის ცოდნის დონე დაადასტუროს შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის ,,ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრისა და დადასტურების წესის" შესაბამისად. ამ შემთხვევაში სტუდენტი ინგლისური ენის სწავლას იწყებს გამოცდის შედეგად განსაზღვრული დონიდან. თუ სტუდენტი საჭიროებს ინგლისური ენის საწყისი დონიდან დაწყებას, მას საშუალება აქვს აღნიშნული დონეები გაიაროს პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსების ფარგლებში, ხოლო მაღალი დონის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი კრედიტები შეივსოს არჩევითი სასწავლო კურსებიდან.<br>ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარია კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. |

- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს: 1. მოსამზადებელ ეტაპს; 2. პროგრამასთან დაკავშირებულ შიდა და გარე მონაცემების ანალიზს; 3. პროგრამის განვითარების გეგმის, მისი განხორციელებისას დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის სტრატეგიის შედგენას; 4. განხორციელების პროცესის შეფასებას.

საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი მოიცავს 240 კრედიტს, პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 სასწავლო წელი. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- თავისუფალი კომპონენტები - სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტები - არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 130 კრედიტი;

- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი (სტაჟირება) - 10 კრედიტი.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოდეგნილია 180 კრედიტით, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსები 60 კრედიტით. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია ლოგიკურად და მისი შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს. ამასთან პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასურველია პროგრამის სტრუქტურაში დაემატოს ლოჯისტიკის მენეჯმენტის სასწავლო კურსი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. გარდა ამისა, სასურველია გაერთიანდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები კალკულუსი 1, 2 და ჩამოყალიბდეს როგორც ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი, რაც გამოათავისუფლებს კრედიტების მოცულობას სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს პროგრამის სტრუქტურაში პროფილური სასწავლო კურსების ოპტიმალურ განაწილებას.

გარდა ამისა, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსი, თუმცა პროგრამაში არ გვაქვს ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო კურსი, რომელიც როგორც წესი წარმოადგენს წინაპირობას ფინანსური აღრიცხვის შესწავლისთვის. დაწესებულების განმარტებით, ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები გათვალისწინებულია ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსში. თუმცა მიგვაჩნია, რომ იმისათვის რომ ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსი კარგად იქნეს ათვისებული სტუდენტის მიერ, საჭიროა მინიმუმ შემდეგი საკითხების საფუძვლიანად შესწავლა: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მარეგულირებელი ორგანოები, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი და მისი ელემენტები, ძირითადი პრინციპები, დაშვებები და მათი გამოყენება ბუღალტერიაში, ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები და ა.შ. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია რომ **მიზანშეწონილია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში დაემატოს ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო კურსი, სადაც სრულად იქნება წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტური საკითხები ან მოხდეს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება ფინანსური აღრიცხვის კურსში. აღიშნული საკითხების სწავლება ხელს შეუწყობს ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსის სრულფასოვნად შესწავლას.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა მათ მიერ გამომუშავებულ კომპეტენციებთან ერთად შესაძლებლობას იძლევა მეტწილად მიღწეულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზანი და შესაბამისი სწავლის შედეგები, რომლებიც თავს მხრივ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>▪ **რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში დაემატოს ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო კურსი, სადაც სრულად იქნება წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტური საკითხები ან მოხდეს აღნიშნული საკითხების გათვალისწინება ფინანსური აღრიცხვის კურსში;** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ **სასურველია გაერთიანდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები კალკულუსი 1, 2 და ჩამოყალიბდეს 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით, რაც გამოათავისუფლებს კრედიტების მოცულობას სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში და ხელს შეუწყობს პროგრამის სტრუქტურაში პროფილური სასწავლო კურსების ოპტიმალურ განაწილებას;**<br>▪ **სასურველია პროგრამის სტრუქტურაში დაემატოს ლოჯისტიკის მენეჯმენტის სასწავლო კურსი;** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება |

| |
|---|
| პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. რომელიც, იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით. შესაბამისად, სწორედ მოცემულ ნაწილში როგორც ეს უკვე აღნიშნული გვაქვს 2.1 ქვესტანდარტში გადასახედია სავალდებულო სასწავლო კურსების მონაწილეობის ლოგიკა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში - გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების ნაწილში ჩართულობის კუთხით. ამასთან, ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების და მათი შინაარსის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები,<br><br>კერძოდ სასწავლო კურსის ***მენეჯმენტის საფუძვლების*** სწავლის შედეგები სრულად ვერ აღწერს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და ბუნდოვანია მათი მიღწევის გზები, მაგალითად, კურსის ერთერთი სწავლის შედეგია - ,,აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს ხელმძღვანელობის სხვადასხვა სტილს; მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მენეჯერის სოციალურ-ეთიკური პასუხისმგებლობას“ თუმცა ბუნდოვანია როგორ ხდება ამ სწავლის შედეგის მიღწევა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ცოდნის ნაწილში, რადგანაც აღნიშნული საკითხი არ ფიგურირებს კურსის სასწავლო გეგმაში. გარდა ამისა კურსის სასწავლო გეგმაში არ გხვდება ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოტივაციის თეორიები, ორგანიზაციული სტრუქტურები, დაგეგმვის საფუძვლები და მმართველობითი კონტროლის საფუძვლები. ასევე, მენეჯმენტის საფუძვლების კურსის სილაბუსით განსაზღვრულ სასწავლო გეგმაში მოცემული, 3 და 4 კვირის თემატიკა, 5 და 6 კვირის თემატიკა იდენტურია. იდენტურია ასევე 7 და 8 კვირის თემატიკა, სადაც განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: მარკეტინგის საზოგადოებრივი როლი; მარკეტინგის სუბიექტები და კონცეფციები მარკეტინგული სამსახური ორგანიზაციაში; რეკლამა ბიზნესში. ასევე, 11 კვირაში სილაბუსით წარმოდგენილია შემდეგი საკითხები: კორპორატიული ფინანსები, მიზნები, შემოსავლების უზრუნველყოფა, ეკონომიკური განვითარება, კრედიტები, მისი ზუსტი გათვლები და სახსრების სიმტკიცე, რაც ბუნებრივია ცდება მენეჯმენტის საფუძვლების კურსის დანიშნულებას. გამომდინარე აქედან **რეკომენდებულია მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების კორექტირება.** სასწავლო კურსი ,,გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტში“ მიზნად ისახავს ,,სტუდენტს მისცეს კომპლექსური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გაყიდვებში და ფინანსების მოზიდვაში, სპორტის სფეროში მარკეტინგის და |

სპონსორობის მნიშვნელობაზე, მათ როლზე თანამედროვე სპორტის სამყაროში“, თუმცა სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ,,მარკეტინგის პრინციპები, ფილიპ კოტლერი, გარი არმსტრონგი, პრაფულა აგნიჰოტრი, 2018 წ“, რაც ბუნებრივია ვერ დაფარავს ვერც კურსის შესასწავლ საკითხებს. გამომდინარე აქედან, **რეკომენდებულია ,,გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტში“ სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულ სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს შესაბამისი პროფილური სახელმძღვანელო სპორტში ფინანსების მოზიდვის და სპონსორობის შესახებ.**

ასევე, სასწავლო კურსის ,,პროექტების მენეჯმენტი“ ერთერთი სწავლის შედეგის შესაბამისად სტუდენტი ,,აღწერს ..... პროექტის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის სპეციფიკას“, თუმცა კურსის შინაარსიდან გამომდინარე ბუნდოვანია სად ხდება რომელ თემაში პროექტების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება. **გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ პროექტების მართვის სილაბუსში უნდა იქნეს გათვალისწინებული პროექტების მართვის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სპეციფიკა და სტუდენტებმა შეისწავლონ პროექტების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გამოყენების საფუძვლები, მაგალითად შეისწავლონ ,,Ms Project” გამოყენება.**

გარდა, ამისა გარკვეული სასწავლო კურსების სახელწოდება მათი შინაარსიდან გამომდინარე საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას, კერძოდ **სასწავლო კურსის სახელწოდება ,,სამართალი და ბიზნეს მარეგულირებელი გარემო“ კურსის შინაარსის, მიზანის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით უმჯობესია ჩამოყალიბდეს როგორც ,,ბიზნეს სამართალი“, რაც მეტად შეესაბამება მის შინაარს ვიდრე არსებული სახელწოდება.** ასევე, გასამართია, **სასწავლო კურსის ,,სპორტის მენეჯმენტის ბიზნესის“ სახელწოდება, კერძოდ კურსის შინაარსის გათვალისწინებით უპრიანია მისი სახელწოდება განისაზღვროს, როგორც ,,სპორტის ბიზნესის მენეჯმენტი“.**

ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთიანობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა არსებული მოცემულობით პროგრამა ჯერჯერობით ნაწილობრივ არის უზრუნველყოფილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო ქართულენოვანი სავალდებულო სასწავლო მასალებით. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში უმეტესწილად სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ერთი თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა და არ არის მითითებული დამხმარე ლიტერატურა, რაც ადმინისტრაციის განმარტებით არ ჩათვალეს საჭიროდ, რადგანაც იხელმძღვანელეს უცხოური გამოცდილებით. ის რომ უსდ ხელმძღვანელობს არსებული უხოური გამოცდილებით რა თქმა უნდა მისასალმებელია, მაგრამ ამავე დროს გარკვეული საფრთხის მატარებელიცაა. გასათვალისწინებელია, რომ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ქართულენოვანი პროგრამაა, შესაბამისად აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა სასწავლო კურსების სილაბუსებში

მითითებული ინგლისურენოვანი სავალდებულო სასწავლო კურსების ქართულენოვანი რიდერები. შესაბამისად, დაწესებულების მიერ მოწოდებული იქნა ქართულენოვანი რიდერების ნაწილი ,,სპორტის მენეჯმენტის", ,,სპორტის მარკეტინგის" და ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი სპორტში" სასწავლო კურსებში და აღინიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად მუშაობს წარმოდგენილი პროგრამის სავალდებულო კურსების სავალდებულო ინგლისურენოვანი ლიტერატურის ქართულენოვანი რიდერების მომზადებაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია გარკვეული **რეკომენდაცია, კერძოდ: მიგვაჩნია რომ დაწესებულებამ არ უნდა შეიკავოს თავი სასწავლო კურსების სილაბუსებში არც ქართულ ენაზე უკვე არსებული დარგობრივი ლიტერატურის გამოყენებაზე და არც დამხმარე ლიტერატურის მითითებაზე.** მაგალითად, ცალკეულ სასწავლო კურსში შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები როგორიცაა - ,,მეწარმეობა, ახალი საწარმოს წარმატებული წამოწყებისთვის'', ავტ. ბრუს რ. ბარინგერი და რ. დუეინ აირლენდი (Entrepreneurship: Successfully Launching New Ventures, sixth ed. Publisher: Pearson, 2018,); მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსში - რობინზი, კოუტლერის მენეჯმენტის 2018 წლის გამოცემა; სტრატეგიული მენეჯმენტი: ცნებები და ვითარებები. კონკურენტული უპირატესობის თვალსაზრისით / ფრედ რ. დევიდი, ფორესტ რ. დევიდი, 2017 წლის ქართულენოვანი გამოცემა და ა.შ.

**გარდა ამისა, რეკომენდებულია პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებში ((ბიზნეს კომუნიკაციები (Business Communication - V. Bisen, New Age Int. Publishers, 2009); სპორტის ეკონომიკა (Sports Economics (Theory, Evidence and Policy), Paul Downward, Alistair Dawson, Trudo Dejonghe, Butterworth–Heinemann publications 2009); სპორტის მარკეტინგი (Sport Marketing, 3rd edition, Bernard Mullin, Stephen Hardy, William Sutton, Pub. Human Kinetics, 2007); სტრატეგიული მენეჯმენტი (სტრატეგიული მენეჯმენტი, ეკა ჩოხელი, გამომცემლობა უნივერსი, თბილისი 2009 წელი)) მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რაც უკეთ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.**

ასევე, თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/;

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>▪ **რეკომენდებულია მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების კორექტირება;**<br>▪ **რეკომენდებულია ,,გაყიდვები და ფინანსების მოზიდვა სპორტში" სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულ სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს შესაბამისი პროფილური სახელმძღვანელო სპორტში ფინანსების მოზიდვის და სპონსორობის შესახებ;**<br>▪ **რეკომენდებულია პროექტების მართვის სილაბუსში გათვალისწინებული იქნეს პროექტების მართვის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სპეციფიკა და სტუდენტებმა შესწავლონს პროექტების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფის გამოყენების საფუძვლები, მაგალითად შეისწავლონ ,,Ms Project" გამოყენება.**<br>▪ **რეკომენდებულია, დაწესებულებამ არ შეიკავოს თავი სასწავლო კურსების სილაბუსებში არც ქართულ ენაზე უკვე არსებული დარგობრივი ლიტერატურის გამოყენებაზე და არც დამხმარე ლიტერატურის მითითებაზე;**<br>▪ **რეკომენდებულია პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებში ((ბიზნეს კომუნიკაციები (Business Communication - V. Bisen, New Age Int. Publishers, 2009); სპორტის ეკონომიკა (Sports Economics (Theory, Evidence and Policy), Paul Downward, Alistair Dawson, Trudo Dejonghe, Butterworth–Heinemann publications 2009); სპორტის მარკეტინგი (Sport Marketing, 3rd edition, Bernard Mullin, Stephen Hardy, William Sutton, Pub. Human Kinetics, 2007); სტრატეგიული მენეჯმენტი (სტრატეგიული მენეჯმენტი, ეკა ჩოხელი, გამომცემლობა უნივერსი, თბილისი 2009 წელი)) მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სრულად იქნეს მოცული სწავლის სფეროს აქტუალური მიღწევები.** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ **სასურველია სასწავლო კურსის ,,სპორტის მენეჯმენტის ბიზნესის" სახელწოდება, კურსის შინაარსის გათვალისწინებით განისაზღვროს, როგორც ,,სპორტის ბიზნესის მენეჯმენტი";**<br>▪ **სასურველია სასწავლო კურსის სახელწოდება ,,სამართალი და ბიზნეს მარეგულირებელი გარემო" კურსის შინაარსის, მიზანის და სწავლის შედეგების გათვალისწინებით რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს როგორც ,,ბიზნეს სამართალი", რაც მეტად შეესაბამება მის შინაარს ვიდრე არსებული სახელწოდება;** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის კომპონენტი 10 კრედიტის ფარგლებში, რომლის მიზანია სტუდენტებში განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების პროცესს უნივერსიტეტის მხრიდან ზედამხედველობას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის განხორციელებაზე, აკონტროლებს პრაქტიკის კეთილსინდისიერად ჩატარებას და აფასებს სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შესრულების პროცესს. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტს ხელმძღვანელობს მენტორი საწარმოდან, რომელიც ყოველდღიურად ამოწმებს პრაქტიკის დღიურს და ხელისმოწერით ადასტურებს მას. პრაქტიკის საბოლოო ანგარიშის დაცვა ხდება ორგანიზაციასა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებისაგან შედგენილ კომისიაზე. ამასთან, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, კერძო თუ სამთავრობო სტრუქტურასთან. ამ მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ურთიერთ-თანამშრომლობის შესახებ. აღნიშული მემორანდუმები მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ხელშეწყობას დასაქმებასა და სტაჟირების პროგრამებში. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსფერული უნარების გამომუშავებას, კერძოდ პროგრამა ითვალისწინებს უცხო ენების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სოციოლოგიის საფუძვლების და ფსიქოლოგიის საფუძვლების სავალდებულო წესით სწავლებას.<br><br>აღსანიშნავია რომ უსდ-ში იმართება სტუდენტური კონფერენციები, სადაც აქტიურად არიან ჩართულები უნივერსიტეტის სტუდენტები, მაგალითად: 2020 წლის 25 დეკემბერს, სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ორგანიზებით და ფაკულტეტების აქტიური მხარდაჭერით, ჩატარდა სპორტის უნივერსიტეტის სტუდენტთა საუნივერსიტეტო ონლაინ კონფერენცია - „წვრთნისა და რეაბილიტაციის საკითხები სპორტში“; 2020 წლის 29-30 ივნისს Zoom-ში ჩატარდა მწვრთნელთა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღო 26-მა სტუდენტმა; 2020 წლის 28-29 მაისს Zoom-ში ჩატარდა ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღო 30-მა სტუდენტმა და ა.შ. აღნიშნული ინფორმაციები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. |

(http://sportuni.ge/info/223/).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- უსდ-ს მიერ გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების ჩამონათვალი;
- სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის 2020 წლის ანგარიში;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია კურსის, პროგრამის მიზნების შესაბამისად და შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდებად გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომები, რომელიც ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, მათ შორისაა - ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკა და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ. სასწავლო

| |
|---|
| კურსში კონკრეტული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება ხდება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. ლექტორს, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლება აქვს მიუთითოს და გამოიყენოს მეთოდები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პროგრამაში ან/და კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლებისა და სწავლის ნებისმიერი მეთოდი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და |

კანონმდებლობასთან შესაბამისია. უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა. კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის მიღების შემთხვევაში. სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია რამდენიმე ეტაპიანი შეფასება, კერძოდ შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, ასევე კვლევისა და კომუნიკაციის უნარის განმავითარებელი რეფერატი/პროექტი და მისი პრეზენტაცია/ალტერნატიული დავალება. თითოეულ ეტაპზე გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ან მათი ერთობლიობა, რომელიც ზომავს სწავლის შედეგების მიღწევადობას. მათ შორის:

- ღია კითხვები, განმარტებები - გამოიყენება თეორიული და ფაქტობრივი ცოდნის, საკითხის გააზრების სიღრმის, წერილობითი კომუნიკაციის უნარის შესაფასებლად;
- დახურული კითხვები, ჭეშმარიტია/მცდარია ტიპის კითხვები - მეთოდი ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას;
- თემა - ანალიზისა და დასკვნის უნარის, თეორიული და ფაქტობრივი ცოდნის, საკითხის გააზრების სიღრმის, წერილობითი კომუნიკაციის უნარის შესაფასებლად;
- შემთხვევის ანალიზი - აღნიშნული მეთოდი გამოიყენება იმისათვის, რომ შეფასდეს სტუდენტის მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, დასკვნის და წერილობითი/ზეპირი კომუნიკაციის უნარი. ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები;
- ამოცანები - გამოიყენება პრობლემის გადაჭრის, ანალიზისა და დასკვნის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და წერილობითი კომუნიკაციის უნარების შესაფასებლად;
- რეფერატი/პროექტი/ალტერნატიული დავალება და მისი პრეზენტაცია - მეთოდი ამოწმებს თეორიულ და ფაქტობრივ ცოდნას, წიგნზე მუშაობისა და მასალების მოძიების უნარს, საკითხის გააზრების სიღრმეს, კვლევის, დასკვნის, ზეპირი და წერილობითი ფორმით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციის უნარის განვითარების დონეს.

სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება ხორციელდება ორი მიმართულებით: პირველი, შეფასება გამოიყენება, როგორც სტუდენტის შედეგების მიღწევის საზომი. ამისათვის, სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილია შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები. უმეტეს შემთხვევებში შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები არ არის ცხადი და დეტალური, მიზანშეწონილია შეფასების კომპონენტები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები ცხადი და გამჭვირვალე იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის; მეორე, შეფასება გამოიყენება, როგორც სტუდენტის მიღწეული შედეგების/ნაკლოვანებების შემდგომი გაუმჯობესების საშუალება, რაც სტუდენტებთან შედეგების ინდივიდუალური განხილვის გზით ხორციელდება.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100

ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 60 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 40 ქულა.

შუალედური და დასკვნითი გამოცდები ხორციელდება ცენტრალიზებული წესით. პანდემიის პირობებში გამოცდები მიმდინარეობს ელექტრონულ ფორმატში. სტუდენტთა შეფასებისას ლექტორი ვალდებულია დაუბრუნოს უკუკავშირი დადებითი და უარყოფითი მხარეების, გაუმჯობესების გზების შესახებ. მიღებული შეფასების და მასთან დაკავშირებული უკუკავშირის ასახვა/ონლაინ სისტემაში - "START" ლექტორის მიერ ხდება სასწავლო დებულებით განსაზღვრულ ვადებში. აღნიშნულზე წვდომა სტუდენტს აქვს ონლაინ სისტემიდან "Student Sportuni". სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტის შეუფერხებელ წვდომას შეფასებულ საგამოცდო ნაშრომებთან, რომელშიც ლექტორს საგამოცდო საკითხის ქულა აქვს მინიჭებული. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დაადასტურეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დაადასტურეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

ამასთან ცალკეული სასწავლო კურსებში (ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, გაყიდვები დაფინანსების მოზიდვა სპორტში, ლიდერობა, მაკროეკონომიკის საფუძვლები, მარკეტინგის პრინციპები, მენეჯმენტის საფუძვლები, მეწარმეობა, ოპერაციების მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები და ა.შ.) შეფასების ერთერთ მეთოდად გამოყენებულია პრეზენტაცია, რომლის დროსაც სტუდენტები ამუშავებენ რეფერატებს და ახდენენ მის პრეზენტაციას. რაშიც სტუდენტს შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 10 ქულა, თუმცა სილაბუსებში არ არის დაკონკრეტებული თუ რა შემთხვევაში მიიღებს სტუდენტის 10-ზე ნაკლებ ქულას, ასევე ბუნდოვანია რეფერატის შესრულება ინდივიდუალურია თუ ჯგუფურადაც შეუძლია სტუდენტებს მისი შესრულება, დასაკონკრეტებელია ასევე რეფერატის ტექნიკური პარამეტრების, მოცულობა, შრიფტი და ა.შ. მოთხოვნები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ **შეფასების სისტემის მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა განხორციელდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში პრეზენტაციის ნაწილში გამოყენებული შეფასების ქულების რანჟირება და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება.**

ასევე, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა უმეტესად უნიფიცირებულია და საჭიროებს მეტ დივერსიფიკაციას, მეტად მორგებას კონკრეტული საგნის სპეციფიკასთან, მაგალითად, პროექტების მენეჯმენტის სასწავლო კურსის მიზანი და შესაბამისად შედეგები ორიენტირებულია პროექტების შედგენის და პრეზენტაციის სწავლებაზე, თუმცა კურსის ფარგლებში სტუდენტი არ ასრულებს პროექტს და შეფასება ხდება მხოლოდ ღია და დახურული ტესტების გამოყენებით. გამომდინარე აქედან, **რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების მეტი დივერსიფიკაცია, მეტად მორგება კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, მაგალითად, პროექტების მართვის სასწავლო**

**კურსში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტების წერა და დასკვნითი შეფასება განხორციელდეს შეფასების სისტემაში კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტის მონაწილეობით.** ამასთან სასურველია დაზუსტდეს პრაქტიკის შეფასების დეტალები, კერძოდ დასაზუსტებელია პრაქტიკის დაცვის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის რაოდენობრივი პარამეტრები, რამდენი ადამიანი იქნება დაცვის კომისიაში, მათ შორის რამდენი უნივერსიტეტიდან და რამდენი ორგანიზაციიდან და ესევე სასურველია პრაქტიკის შეფასების ერთერთი კომპონენტში - აქტიურობა პრაქტიკაზე, რომელიც სრულდება უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე და ფასდება 40 ქულით, დაზუსტდეს იღებს თუ რა მონაწილეობას პრაქტიკის მენტორი საწარმოდან და თუ იღებს როგორია მისი მონაწილეობის მექანიზმი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/;
- სასწავლო უნივერსიტეტის ონლაინ სისტემები: (http://start.sportuni.ge/#/login/login, http://students.sportuni.ge/#/login).

**რეკომენდაციები:**

- **რეკომენდებულია, შეფასების სისტემის მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში პრეზენტაციის ნაწილში გამოყენებული შეფასების ქულების რანჟირება და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება;**
- **რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების მეტი დივერსიფიკაცია, მეტად მორგება კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან, მაგალითად, პროექტების მართვის სასწავლო კურსში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტების წერა და დასკვნითი შეფასება განხორციელდეს შეფასების სისტემაში კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტის მონაწილეობით.**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **სასურველია დაზუსტდეს პრაქტიკის შეფასების დეტალები, კერძოდ დასაზუსტებელია პრაქტიკის დაცვის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის რაოდენობრივი პარამეტრები, რამდენი ადამიანი იქნება დაცვის კომისიაში, მათ შორის რამდენი უნივერსიტეტიდან და რამდენი ორგანიზაციიდან და ესევე სასურველია პრაქტიკის შეფასების ერთერთი კომპონენტში - აქტიურობა პრაქტიკაზე, რომელიც სრულდება უშუალოდ პრაქტიკის**

| |
|---|
| ობიექტზე და ფასდება 40 ქულით, დაზუსტდეს იღებს თუ რა მონაწილეობას პრაქტიკის მენტორი საწარმოდან და თუ იღებს როგორია მისი მონაწილეობის მექანიზმი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციებისა და ვიზიტის მიმდინარეობისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით გამოვლინდა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და კარიერულ განვითარებასთან  დაკავშირებით მხარდაჭერას. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ საკონსულტაციო მომსახურებას, ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა: აკადემიური მოსწრება, კარიერული განვითარება, გაცვლითი პროგრამები, სტაჟირება, სამეცნიერო საქმიანობა. სხვადასხვა საკითხებში სტუდენტთა აქტიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დეკანი ან რექტორი. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სტუდენტები კმაყოფილებას გამოხატავენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია რომ ტარდება კონფერენციები და სხვადასხვა აქტივობები, თუმცა აქტიურად არ არიან ჩართულნი. ფაკულტეტი მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას სხვადასხვა აქტივობების, დასაქმებისა და სტაჟირების შესახებ, პიროვნებიდან პიროვნებაზე ინფორმაციის გადაცემის მეთოდით. სტუდენტთა აქტიური ჩართულობა გამოიხატება ლექტორისა და საგნის შეფასების ნაწილში, აგრეთვე აქვთ ნაშრომის აპელაციის უფლება. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ფაკულტეტი სთავაზობს სტიპენდიებს, კვლევითი ღონისძიებების დაფინანსებას. სწავლის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი კურსდამთავრებულს სთავაზობს კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებას, პროცესში უწევენ რეკონდაციას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კურსდამთავრებულებთან აქვს მჭიდრო კომუნიკაცია და იზიარებენ მათ შეხედულებებს. აგრეთვე, ხაზს უსვამენ ინფრასტქტურის განახლების აუცილებლობას.

პანდემიის შედეგად დამდგარი ვითარების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებობას უზრუნველყოს მრავალფეროვანი სტუდენტური გარემო (სტუდენტური კლუბები, სტუდენტის საერთაშორისო დღე, კულტურული ფესტივალი და ა.შ.). თუმცა, მსოფლიოში არსებული მდგომარეობის მიუხედავად უზრუნველყოფენ სტუდენტთა მონაწილეობას გაცვლით პროგრამასა და კონფერენციაზე. სტუდენტები ღიად გამოხატავენ კმაყოფილებას მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, ბიბლიოთეკის მიმართ, რომელიც დაინტერესების შემთხვევაში ოპერატიულად აწვდის ლიტერატურათა ელექტრონულ ვერსიებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდენტებთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/;

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტანდარტი არ შეფასებულა |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

| |
|---|
| პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას - ,,ბიზნესის ადმინისტრირება სპორტის მენეჯმენტში“ ემსახურება ჯამში 28 აკადემიური პერსონალი. 14 აკადემიური პერსონალი აფილირებულია: პროფესორი 5, ასოცირებული პროფესორი 8, ასისტენტ-პროფესორი 1. სასწავლო პროცესში ჩართულია 14 მოწვეული პერსონალი. შესაბამისად ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის 14/14 პროგრამის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიური აკადემიური პერსონალი ძირითადად წარმოდგენილია დარგობრივი მიმართულების სპეციალისტებით. გარდა ამისა, პროგრამას ემსახურება 18 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.<br><br>აკადემიური პერსონალს გააჩნია აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. რომელიც დასტურდება მათი რეზიუმეების შესწავლის შედეგად. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, მაგალითად 2020 წლის 28-29 აპრილს, სპორტის უნივერსიტეტში ჩატარდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე სპორტი და მისი პრობლემები საქართველოში“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 21-მა პედაგოგმა (http://sportuni.ge/info/156/). აღნიშნული კონფერენციის შრომები დაიბეჭდა კრებულის სახით და მისი ელექტრონული ვერსია აიტვირთა სპორტის უნივერსიტეტის საიტზე, მეცნიერების განაყოფში (იხ ლინკი: https://drive.google.com/file/d/1uWH7LySzjqb8EM3MCJzve7j-jY3TTKZO/view). 2020 წლის 1-2 ოქტომბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია (ქუთაისი 2020), „ბავშვთა უფლებები საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში“. აღნიშნულ კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო პროგრამის ორმა განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა.<br>პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში და გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.<br>მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ახორციელებს კვლევით აქტივობას, ყოველწლიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში, კვალიფიკაციის ამაღლების ამაღლების მიზნით გადიან ტრენინგებს საქართველოსა და უცხოეთში. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებლის ზრდას და აქტიურად გააგრძელოს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია 22 ნაშრომი, შესაბამისად მიზანშეწონილია აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გააქტიურება. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>▪ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის პირადი საქმეები;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ **სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააუმჯობესოს საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მაჩვენებელი;** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევას. დაწესებულებამ შეაფასა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების, შეთავაზებული შრომის პირობებით კმაყოფილების, ლექტორების უნივერსიტეტში მიმდინარე |

| |
|---|
| სხვადასხვა პროცესის ხარისხის და ინფორმირებულების დონის მაჩვენებლები. ასევე, 2020 წელს განხორციელებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის მონიტორინგი სტუდენტების პერიოდული გამოკითხვის საშუალებით. გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლექციების შეფასების სპეციალური ფორმა და ახორციელებს სწავლების მონიტორინგს. აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად წარადგენს სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას, რაც მოწმდება შესაბამისი პასუხისმგებელი სამსახურების მიერ.<br>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. მაგალითად, 2020 წლის 28-29 აპრილს, სპორტის უნივერსიტეტში ჩატარდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე სპორტი და მისი პრობლემები საქართველოში“. დაწესებულებამ განახორციელა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კომპეტენციების ზრდაზე მიმართული ტრენინგები. სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ორგანიზებით, გაიმართა მოხსენება, ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში მუშაობის შესახებ. 2020 წლის 3 დეკემბერს მწვრთნელთა ფაკულტეტზე ჩატარდა ონლაინ დისკუსია თემაზე: „ონლაინ რეჟიმი და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება“. კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალება Zoom ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, ჩატარდა საჯარო მოხსენება სახელწოდებით „როგორ დავწეროთ სამეცნიერო სტატია“. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>▪ ლექციაზე დაკვირვების ფორმა;<br>▪ მოწვეული და აკადემიური პერსონალის ზოგადი შეფასების ანგარიში;<br>▪ ლექციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში;<br>▪ სტუდენტების კმაყოფილების კვლევა;<br>▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სარემონტო სამუშაოების გამო პროგრამა ხორციელდება შემდეგ მისამართზე: ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N26, ქ. თბილისი, 0186, საქართველო. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ 2021 წლის 15 მარტს გააფორმა ხელშეკრულება უძრავი ქონების დროებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ზუმის პლატფორმის საშუალებით ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სასწავლი ინვენტარით და ტექნიკით. დაწესებულებამ წარმოადგინა სილაბუსით გათვალისწინებული კურსების წიგნები და რიდერები, საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნადი ფონდი, ასევე, არის წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე (Cambridge Journals, E-Duke Journals Scholarly Collections, Sage Journals). ამასთან, როგორც მე-2 სტანდარტის 2.3 კომპონენტში აღინიშნა დაწესებულებას ჯერ არ აქვს სრულად მომზადებული პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ქართული ვერსიები, რაც ბუნებრივია მოცემულ ეტაპზე ვერ იქნებოდა უსდ-ს ბიბლიოთეკაშიც განთავსებული, შესაბამისად **აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია შემდეგი რეკომენდაცია, კერძოდ: რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ინგლისურენოვან სავალდებულო ლიტერატურაზე ისეთი ქართულენოვანი სასწავლო მასალების მომზადება, რაც სრულფასოვნად ჩაანაცვლებს კურსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურას და აღნიშნული მასალები განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტებისათვის მისი ხელმისაწვდომობა.**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ხელშეკრულება სამეცნიერო პროდუქციის გადაცემაზე;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

**რეკომენდაციები:**

- **რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ინგლისურენოვან სავალდებულო ლიტერატურაზე ისეთი ქართულენოვანი სასწავლო მასალების მომზადება, რაც სრულფასოვნად ჩაანაცვლებს კურსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურას და აღნიშნული მასალები განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტებისათვის მისი ხელმისაწვდომობა.**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციის, ასევე აკადემიური პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს, ასევე სხვა ხარჯვით ნაწილებს. ვინაიდან, ძირითადი შემოსავლები უკავშირდება სტუდენტების მიერ გადახდილ ფულად რესურსებს, შესაბამისად სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი იყოს ცალკე ბიუჯეტი, სადაც უფრო დეტალურად იქნება გამოკვეთილი ბიუჯეტის ცალკეული მუხლებიდან კონკრეტულად რა სახსრები ფოკუსირდება კვლევითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;

| |
|---|
| ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>▪ უსდ-ს 2021-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ სასურველია პროგრამისათვის შემუშავდეს ბიუჯეტის ცალკე ფორმა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს სრულფასოვნად შეაფასონ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის მდგომარეობა; |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>**√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | √ | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შედგება სამი მნიშვენლოვანი კომპონენტისგან, რომელიც ითვალისწინებს: ხარისხის სტანდარტების განსაზღვრას; დადგენილი ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას; ხარისხის გაუმჯობესებას.

უსდ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა; სტუდენტთა მიღების, პროგრამის დასრულებისა და მათი განთესვის მაჩვენებლის ანალიზი; სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი; პროგრამაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასება; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობის მაჩვენებელი; სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი: გარე შეფასების შედეგები.

სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს, კოლეგიალურ შეფასებას და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება

| |
|---|
| პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნებისათვის. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. ამასთან, მიგვაჩნია რომ უსდ-სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის ფარგლებში სასურველია უზრუნველყონ პროგრამის აკრედიტაციაზე გაგზავნამდე პროგრამის თანმხლები დეტალების საბოლოო გადამოწმება, მათ მიზანშეწონილია გადამოწმებული იქნეს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ქართულენოვანი მასალების სრულად განთავსების საკითხიც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;<br>▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები;<br>▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდენტებთან;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/ |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>▪ მიგვაჩნია რომ უსდ-სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის ფარგლებში სასურველია უზრუნველყონ პროგრამის აკრედიტაციაზე გაგზავნამდე პროგრამის თანმხლები დეტალების საბოლოო გადამოწმება, მათ შორის მიზანშეწონილია გადამოწმებული იქნეს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზაში პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ქართულენოვანი მასალების სრულად განთავსების საკითხიც. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

**შეფასება**

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის დაინტერესებული მხარეების შეფასებასა და გარე ექსპერტის შეფასებას. ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნა გარე ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა. მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით.
პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების მიზნით გაზიარებულ იქნა მინესოტას უნივერსიტეტის სპორტის მენეჯმენტის პროფესორთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეფასდა დადებითად, ამასთან, ყურადღება იქნა გამახვილებული პროგრამის სახელწოდებასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე, სადაც გარე შემფასებელი თავისი შეფასების შინაარსიდან გამომდინარე რეკომენდაციას შევიდეს ცვლილება ეროვნულ მარეგულირებელ ჩარჩოში და შესაძლებელი იყოს ბაკალავრიატის დონეზე ,,სპორტის მენეჯმენტის“ კვალიფიკაციის მინიჭება. ასევე გარე შეფასებაში გარკვეულწილად ყურადღება გამახვილებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის მსგავსებაზე, კერძოდ გარე შემფასებელი სამართლიანად თვლიდა რომ სასწავლო კურსი ,,სპორტის სახელმწიფო მართვის საფუძვლები“ მსგავსი იყო კურსისა ,,სპორტის მართვა და პოლიტიკისა“. შესაბამისად, უსდ-მ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და პროგრამაში დარჩა მხოლოდ სასწავლო კურსი ,,სპორტის სახელმწიფო მართვის საფუძვლები“. აღსანიშნავია, რომ უსდ იყენებს გარე ექსპერტის შეფასებას და ახდენს მის გათვალისწინებას პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გარე ექსპერტის შეფასება;
- პროგრამის შემუშავების ამსახველი ოქმები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. პროგრამის ფარგლებში, წინასწარ

| |
|---|
| განსაზღვრული ფორმის მეშვეობით, ხორციელდება აკადემიური პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგიალური დასწრების საშუალებით, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და ხდება სასწავლო კურსისთვის დადგენილი მიზნობრივი ნიშნულის და ფაქტობრივი შედეგების ანალიზი. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.<br><br>უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოკვლეულ იქნა საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება სპორტის მენეჯმენტის პროგრამებთან მიმართებით. თუმცა, სასურველია აღნიშნული პროცესი იყოს მეტად სისტემური ხასიათის და ფორმალიზებული. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;<br>▪ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;<br>▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები;<br>▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>▪ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://sportuni.ge/ |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

| |
|---|
| შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

## დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | √ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ ხოხობაია

ზურაბ კაკაბაძე

თამთა ცხოვრებაძე

მამუკა ქარქაშაძე